

**ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის პიესა
„შთამომავლობა“
ALEKSANDRE (SHOSHIA) CHKHAIDZE'S
PLAY *DESCENDANTS***

სოფიკო ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Sopiko Tsetskhladze

Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

Aleksandre (Shoshia) Chkhaidze made a significant contribution to the development of the history of Georgian drama with his play *Descendants*. Through dramaturgy, he introduced fundamental changes in the process of formation and development of Georgian thought and worldview.

The author's work, which is rather real-life and based on justice, has never faded and, we believe, it will never fade. His heart was full of love for people, doing good and performing good deeds.

Regardless of the political or economic background in the Soviet Union, the playwright was still not afraid of the demands on the part of high officials and continued his work tirelessly. Aleksandre Chkhaidze never betrayed his life calling or high civic or moral positions; especially when every word had to be measured, acceptable and desirable for the interests of others. He broke every stereotype prevailing in society and continued his creative activity beyond the accepted rules and frameworks. Through the characters in *Descendants*, Aleksandre Chkhaidze thoroughly presented the era, clearly depicting his own subjective or objective life position and every critical opinion.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული დრამატურგია, ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე, კომუნისტური მმართველობის კრიტიკა.

Keywords: 20th-century Georgian dramaturgy, Alexander (Shoshia) Chkhaidze, critique of the Communist rule.

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძეს XX საუკუნის ქართულ მწერლობასა და დრამატურგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი ღვაწლი ქართული დრამატურგიის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებულია. მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, პოზიცია ყოველთვის სამართლიანობის მხარეს იდგა და თავისი შემოქმედებით, პიესებით, ნარკვევებითა თუ თხზულებებით სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ალ. ჩხაიძე როგორი ბუნების ადამიანიც იყო, ისეთივე ნაწარმოებები შექმნა და ჩვენამდე მოიტანა.

არახალია, რომ საბჭოთა კავშირი უხეში ფორმით უშვებდა ისეთ შეცდომებს, რომლებიც საწამლავივით ღრღნიდა დრამატურგის თავისუფლებისმოყვარულ სულს და გადაგვარების მუდმივი შიშის ქვეშ ამყოფებდა. სწორედ ამ მდგომარეობით იყო განპირობებული მისი, როგორც ნიჭიერი დრამატურგის, სიმართლის შეულამაზებლად ჩვენებისადმი დაუღალავი მისწრაფება. მიუხედავად ეპოქის წნეხისა და მკაცრი კრიტიკისა, დრამატურგმა სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა თავის საქმიანობას. მეტიც, რამდენადაც მძიმე იყო საბჭოთა კავშირში ხალხის ყოფითი მდგომარეობა, იმდენად უფრო მტკივნეულად და მკვეთრად წარმოისახებოდა ხოლმე ეს მოტივი ავტორის შემოქმედებაში.

ფაქტია, რომ შოშია ჩხაიძე თავისი დრამატურგიით საბჭოთა სინამდვილეში არსებულ მახინჯ მოვლენებს დაუპირისპირდა, რაც თეატრის კრიტიკოსების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მისი შემოქმედება არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის უთანასწორო ბრძოლაში უაღრესად თანადროული აღმოჩნდა. ამ მოვლენის ერთ-ერთ ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს პიესა „შთამომავლობა“. ასეთივე სულისკვეთებით, თვითმხილებისა და სააშკარაოზე გამოტანის მძაფრი სურვილით შეიქმნა იგი. ალ. ჩხაიძეს ადამიანებთან ურთიერთობის უნიკალური ნიჭი გააჩნდა. მის ხასიათზე, ქარიზმაზე, იუმორსა თუ უზადო ნიჭიერებაზე ყოველთვის მეტ ყურადღებას ამახვილებდნენ. გიგა ლორთქიფანიძემ ფილმიც გადაიღო აღნიშნულ პიესაზე დაყრდნობით. საგულისხმოა ისიც, რომ დრამატურგის მიერ შერჩეული პიესის სახელწოდებები მკითხველსა თუ მაყურებელს წინასწარ უქმნის განწყობას, თუ როგორი შინაარსის შეიძლება იყოს იგი და რას უნდა ველოდოთ მისგან.

პიესა „შთამომავლობა“ მისივე თანამედროვე ადამიანების უდიდეს ტკივილებსა და საფიქრალს ეხმიანება. ავტორი ამიტომაც მოუწოდებდა მათ სიკეთისა და პატიოსნებისკენ, ვინაიდან ამ უკანასკნელთა გარეშე შეუძლებელია საზოგადოება ცხოვრობდეს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში. დრამატურგი მოცემული პიესებით ქმნიდა ისეთი სამართლიანი ადამიანის სახეებს, როგორებიც არიან „შთამომავლობის“ პერსონაჟები: ფატი გურიელი, გურამ გურიელი, ბონდო ლანჩავა და სხვ.

მწერლის შემოქმედებითი ცხოვრება მთლიანად დაკავშირებული იყო თეატრის ბუმბერაზ ადამიანებთან: ვერიკო ანჯაფარიძესთან, გივი ბერიკაშვილთან, ეროსი მანჯგალაძესთან და სხვა მრავალ გამოჩენილ მსახიობთან. „შთამომავლობაში“ განუმეორებელმა ვერიკო ანჯაფარიძემ ფატი გურიელის შესანიშნავი თეატრალური სახე წარმოგვიდგინა და ნებისმიერი დროისთვის ერთობ დასამახსოვრებელი ფრაზა შემოგვინახა:

„ასე ცხოვრება არ შეიძლება!“. მხოლოდ ეს სიტყვები რად ღირს, რომ აღარაფერი ვთქვათ მსახიობის თეატრალური ნიჭისა თუ სიყვარულის უსაზღვრო გამოვლინებაზე. საგულისხმოა ისიც, რომ ავტორმა თავდაპირველი და საბოლოო სიტყვაც სწორედ ფატი გურიელს დააკისრა. ჩვენი ღრმა რწმენით, დრამატურგისთვის პირველი და განსაკუთრებული, გამორჩეული ქალი გმირი პერსონაჟი სწორედ ფატი გურიელია. მისი კდემამოსილებით უდიდეს ელფერს ჰმატებს გურიელების ოჯახს. იგი სიმართლის, სიკეთის, სამართლიანობისა და ზნეობის ერთგვარი სიმბოლოა (ჩხაიძე 2009: 226).

ავტორის პიესის ქალ პერსონაჟებს ეკრანიზაციებზე არაერთი ცნობილი მსახიობი მანდილოსანი განასახიერებს: ვერიკო ანჯაფარიძე, ნინო საკანდელიძე, კლაუდია კარდინალე, ალისა ფრეინდლიხი, პოლონელი მონაზონი... თითოეული მათგანი, მართალია, სხვადასხვა თაობის, შინაგანი წყობისა და სოციალური წარმოშობის ქალბატონია, მაგრამ ისინი მაღალი იდეალების, სიწმინდით ერთმანეთის მსგავსი, ეროვნული ტრადიციების, ერთგულებისა და სიყვარულის დამცველ სახეებს წარმოადგენენ.

მოცემულ პიესაში ვხვდებით ოჯახური პრობლემების სრულ პალიტრას. მათი ყოველდღიურობა დამძიმებულია პოლიტიკური საქმიანობით, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა „შთამომავლობის“ პერსონაჟებზე. მათი ოჯახური სიყვარული და სიმყუდროვე ირღვევა არსებული მძიმე ვითარებით. ავტორისეული მოსაზრებით, ოჯახური გულახდილი საუბრებითა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვით ყოველგვარი პრობლემის მოგვარება შეიძლება, რასაც პიესის „შთამომავლობის“ მონოლოგებში ხშირად ვხვდებით.

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე თავის ბიოგრაფიულ წიგნში წერს: „ოჯახი ყოველთვის იყო დრამატურგიის ძირითადი თემა. ასეა შილერის, ჩეხოვის, ოსტროვსკის, იბსენის, სხვათა პიესებში. „რევიზორის“ მოქმედებაც, ძირითადად, ოჯახში მიმდინარეობს. ფატი გურიელიც ხომ ამას ამბობს: ოჯახია სახელმწიფოს საფუძველი, ასე თქვა თქვენმა კომუნისტმა მარქსმაო. თუმცა შვილიშვილი უსწორებს, ენგელსმაო, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მარქსიც და ენგელსიც ერთნაირად ფიქრობდნენ. მათ ხომ ერთად დაწერეს „კომუნისტური მანიფესტი“ (ჩხაიძე 1998:135).

საინტერესოა, როგორ შეუძლია ორ ადამიანს ერთნაირად აზროვნება, მათ ხომ თითქმის ერთდროულად გააუღერეს შემდეგი ფრაზა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, თუმცა „შთამომავლობის“ პერსონაჟებს პროლეტარებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამაზე მეტყველებს მათი ბინის კედლებზე გამოფენილი წარჩინებულ წინაპართა პორტრეტები. გურიელების ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველი ერის გამოჩენილი შვილები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დუტუ მეგრელი (ჩხაიძე 1998: 135).

„ფატი – ამ ოჯახის გარშემო ერის ბედი წყდებოდა.

გაიოზი – მას შემდეგ საუკუნე გავიდა, ქალბატონო ფატი.

ფატი – რა არის ცხოვრებაში საუკუნე?

გაიოზი – ძალიან ბევრი. შეიცვალა დრო, საზოგადოებრივი

ურთიერთობები, მოისპო ადამიანისაგან ადამიანის ექსპლუატაცია (ჩხაიძე 1998: 156).

ფატი გურიელის მონოლოგი ღირსების გამოვლინების უდიდესი მაგალითია. იგი მხოლოდ კრიტიკულად დამძიმებული პოლიტიკური საკითხის მოგვარების სურვილით არ არის შეპყრობილი, მისთვის უმთავრესია იმ ფასეულობების აღიარება, რომლებიც სხვა მატერიალური პრობლემების მსხვერპლი გამხდარა. ოჯახის სიწმინდის, სიყვარულის ნათელი ნიმუშია მისი ეს სიტყვები: „ექსპლუატატორთა სახელით მიწა მოგახსენოთ, რომ ამ მაგიდასთან ისხდნენ გენერლებიც და რევოლუციონერებიც, თავადიც და გლეხიც, სხვადასხვა კლასისა და პარტიის წარმომადგენლები. ისინი კამათობდნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ, მაგრამ ყოველ მათგანს ქვეყანა უყვარდა, თავისებურად, სიყვარული კი ოჯახიდან უნდა იწყებოდა. აქ უნდა წყდებოდა ყველა სამამულო საქმე. ოჯახის წევრები არა ვიღაცის, ან რაღაცის, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის წინაშე უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი“ (ჩხაიძე 1998: 156).

დრამატურგმა თავის პიესაში ერთი ოჯახის მაგალითზე აჩვენა სხვადასხვა თაობის ადამიანთა ურთიერთობები, პრობლემები, რომლებიც კონკრეტულიდან ზოგადისკენაა მიმართული, უფრო მასშტაბურიც, ვიდრე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რიგითი ქვეყნის პრობლემა გამხდარა.

პიესის შემდეგი პერსონაჟი – გურამ გურიელი – ლენინური კომკავშირის აღზრდილთა პარტიის წევრის შვილია და იმ პლეადას ეკუთვნის, რომელსაც მოვალეობის პირნათლად შესრულება სულიერ მოთხოვნილებაში აქვს გადაზრდილი. ყველაფერი ეს კი სუფთა სინდისის უმაღლესი გამოვლინებაა. იგი თავის ყოველ მოქმედებას ყველაზე დიდი ზნეობრივ-მორალური საზომით განსჯის. მისთვის ცხოვრებაში უმთავრესი ის კი არ არის, თუ რამდენ ხანს იცოცხლებს ადამიანი, არამედ როგორ გაატარებს თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს, რას გააკეთებს სამართლიანობისა და ღირსების დასაცავად.

ავტორს არაერთხელ აღუნიშნავს და საბჭოთა კავშირის არქივებშიც ამისი უამრავი დამადასტურებელი საბუთი გვხვდება, რომ მისი პიესის პერსონაჟის სახეები შექმნილია რეალური, უბრალო ადამიანებისა თუ წარჩინებული ოჯახის შვილების განვლილი ცხოვრების მაგალითზე. მწერალი ფურცლებზე მხოლოდ სახელებსა და გვარებს ცვლიდა, ზოგჯერ – ასაკსა და თანამდებობას, პიესის სიუჟეტი კი უმეტესწილად უცვლელი რჩებოდა. პიესაში ვხვდებით რუს მოხელეებს, რომლებიც განსაკუთრებული უვიცობითა და მედიდურობით გამოირჩევიან, რასაც ემატება უზნეობა, უპატივცემულობა საქმისა და ქვეყნის მიმართ, სხვათა დამცირება, დანაშაულის გადაბრალება და მისთ., რაც ძალიან მარტივი გასაგებია, რომ ასეთი მმართველობის ქვეშ მყოფი სისტემა უმოკლეს დროში დამახინჯდებოდა და დამახინჯდდა კიდევ. სწორედ ამ სახეშეცვლილი, დამახინჯებამდე მისული სურათების აღწერასა და შედეგებს ვხვდებით მოცემულ პიესაში.

„შთამომავლობა“ ერთგვარი შეხსენებაა ადამიანობის, ზნეობის, ოჯახური ერთობისა და მეგობრობის აუცილებლობისა. ავტორი ძალიან კარგად, ნათლად, სევდიანად და ხშირად იუმორნარევი მომენტებითაც

გადმოსცემს თითქმის ყველა იმ ცხოვრებისეულ საჭირობოტო ამბავს, რომლებიც განსაზღვრავს არა მარტო ერის, არამედ ქვეყნის ბედსაც.

მისი პიესის ქალბატონები – მაგდა, ნატო, ფატი გურიელი – თითოეული მათგანი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, არა ოჯახური კავშირით, პირიქით, ამ თვალსაზრისით ისინი ერთმანეთისგან რადიკალურადაც განსხვავდებიან, თუმცა მათ აერთიანებთ თავისებური, ერთიანი სულისკვეთებით აღსავსე წინააღმდეგობის ჟინი საბჭოთა სისტემის სიმრუდის მიმართ.

პიესა „შთამომავლობას“ საზოგადოებისაგან ისეთივე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც ავტორის სხვა გახმაურებულ პიესებს: „ხიდი“, „ჩინარის მანიფესტი“ „როცა ქალაქს სძინავს“... მისი საზოგადოებრივი, ყოფითი თუ მორალური ღირებულებები, რომლებიც დრამატურგს ოსტატურად აქვს განხილული, მკითხველ-მაყურებლებს ემოციების გარეშე არ ტოვებს. შოშია ჩხაიძე არ კმაყოფილდება მხოლოდ კომუნიტური მანკიერების მხილებითა და ჯანსაღი კრიტიკით. მისთვის ასევე მთავარია პერსპექტივის გრძნობაც, რის გამოც მწერალი ბოლომდე ორიენტირებული იყო ახალგაზრდობასა და მისთვის დაკისრებულ მისიაზე. მისი შემოქმედებითი ხედვაც მხოლოდ მომავალ თაობებში ჭეშმარიტი ღირებულებების დაფუძნებაზეა აგებული.

ყველაფერთან ერთად, პიესა დატვირთულია ტრაგიკული და სევდიანი მომენტებით. შოშია ჩხაიძე გურიელების ოჯახური პრობლემებით, დატვირთული სამუშაო გრაფიკით, გაურკვეველი მომავლის სიუჟეტებით და მათი ცხოვრებისეული ინტერესებითაა შემოფარგლული. პიესის დასასრულს კი მეტად დრამატული თვითონ ქალბატონი ფატი გურიელის სამწუხარო გარდაცვალების ამბავი ხდება. ოთხმოცი წლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე გამართული ოჯახური შეკრება აღმოჩნდება მათი თავშეყრის უკანასკნელი დღე. ისინი კვლავინდებურად ვერ გაუგებენ ერთმანეთს და ისევ დიდ კამათში გადაიზრდება მათი უწყინარი საუბარი, რის ფონზეც ფატი გურიელი ტოვებს ოთახს და იდუმალი მზერით ეთხოვება მათ. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა დრამატურგის ხედვაც – თავის პოზიციას როგორ ოსტატურად გადააბარებინებს ოჯახის უხუცესი წევრისგან ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელზე.

იდეაში ავტორის მახვილი მზერა და გონებაც სწორედ ამისკენაა მიმართული. იგი გაუმჯობესებული მომავლის იმედს ახალგაზრდობაში ხედავს. ფატი გურიელის შემდეგ ნატო გურიელი ყველაზე თამამი და გაბედული ქალი პერსონაჟია. ის არის მეორე ქალბატონი, რომელიც სიმართლეს თვალეში უშიშრად ჩახედავს და აღიარებს ყველაფერს, რაც მათ ოჯახში ხდება. ოჯახის სხვა წევრების შეფასების მიუხედავად, იგი მაინც ყველაზე პრაგმატულად მოაზროვნეა. ყველას განსაცდელს, ტკივილსა თუ სიხარულს ყველაზე მეტად თვითონვე იზიარებს. მოცემული მონოლოგით დრამატურგს სურდა ეთქვა, რომ შთამომავლობა უკვალოდ არ ქრება. დიადი ადამიანების შთამომავლებიც დიდი სახელით იწონებენ თავს. ეს ყოველივე კი არა მარტო ასაკით, არამედ ადამიანთა მიმართ გამოხატული დამოკიდებულებებითა და ქცევებით აიხსნება.

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის ამ პიესის შინაარსი, ფორმა, აგებულება, პერსონაჟთა სამეტყველო ენა, მათი სახეები, ირონიის ოსტატურად გამოყენება თუ მისთვის დამახასიათებელი გამორჩეული ხელწერა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მისი დრამატურგიის ღირებულებასა და შემოქმედებით პროფესიონალიზმში. მას ჩვეულებრივი ამბები უმაღლეს ხარისხში აჰყავს და მკითხველსა თუ მაყურებელს საოცარი მუხტით ავსებს.

ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძემ წარმოგვიდგინა სამართლიანი და მეზრდოლი ადამიანების ღრმა, მეცნიერული და უტყუარი დახასიათება, თუმცა დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ, კონიუნქტურული ხასიათისაა. რომ არა დრამატურგის მასშტაბური იდეოლოგიური მოსაზრების მკვეთრი დასაბუთება, ავტორი იმის ნახევარსაც ვერ გააჟღერებდა, თუ რამდენად უნიათო მმართველობით გამოირჩეოდა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები და მისი მესვეურები.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლიეიშვილი 2004: ბიბლიეიშვილი ი., ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძე – 80. გაზეთი „აჭარა“, №40 (22.044), ბათუმი, 2004.

ეგაძე 1981: ეგაძე ო., თანამედროვეობის მომხრე. თბილისი, 1981.

ჩხაიძე 1997: ჩხაიძე ალექსანდრე (შოშია), ჩემი წილი საუკუნე. გაზეთი „აჭარა“, №205-206, ბათუმი, 1997.

ჩხაიძე 1998: ჩხაიძე ალექსანდრე (შოშია), ჩემი წილი საუკუნე. ბათუმი, 1998.

ჩხაიძე 2009: ჩხაიძე ალექსანდრე (შოშია), პიესები. ბათუმი, 2009.